

ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ
ՅՈՒՆԵԱՆ ԱՐԵՎ



№4

ՅՈՒՆԵԱՆ ԱՐԵՎ

1909

ქინაარსი




I—მეტკუხლის სიმღერა.—დექსი, დ. ელიაზებშვილის	3
II—დატუავებული, ორროლი.—ცქანტას	4
III—ცდებული საჩუქარი.—(შემდეგი) ვაჟა-ფშაველას	10
IV—ვირი.—დექსი, იგავარავა ა. შენძიაშვილის	19
V—ბუ.—ივანევდის	20
VI—ოოცლის ფიფქების თავგაღისეველი.—თეო კანდელაკის	27
VII—გაზარხული.—დექსი დ. თერდომიშვილის	35
VIII—ნაკადულნი.—(მაქალა) თარგმანი განდევილის	37
IX—ფრივირი და მისი ცხოვრება —როგორ გაწნევა პეტრ ცხასგან ფუტერი, (შემდეგი) ა. ჭილაძის	40
X—ასანირი ამბავი.—(დექსისნდევ ადმინისტრის, რეპუ- ლიკი), კლ. ანტონოვისის	43
XI—სინათლი და მისი მნიშვნელობა.—(შემდეგი) ა. მა- სიშვილის	48
XII—ნაპოლეონ ბონაპარტი.—(შემდეგი), თარგმანი ა. პა- რაძის	55
XIII—მითოლოგია, ორიადის ომი.—ქერა და ბათია ქად- ეშერთხი კლდიანთა მსედრობის დასახმარებლები შიგნი- რებიან ა. მაქანურისის	59
XIV—გასირთობი: — ა) საკვარველი გაშლი, — ბ) რებუ- სი და აღსნა.	63


ტებულის უნდა

၁၉၀၈ ၂၀ ၂၀၀၈ ၁၉၀၈

რედაქტორი გერატი




၃၃၄၀ ၁၉၀၈ წ.




ფულიაშვილი, ელექტრონიკის სტამბა წიგნების გამოშეცემის ქართველთა ამინისტრისა.

შინაარსი

I—შერტობლის სიმღერა.—დექსი, დ. ელიაზიშვილისა	3
II—დატცვებული ტოროლი.—ცემატისა	4
III—ლილებული საჩუქარი.—(შემდეგი) ვაჟა-ფშაველასი	10
IV—ვირი.—დექსი, იგავ-არაყი ა. შანშიაშვილისა	19
V—ბუ.—ივან ქლისა	20
VI—თოვლის ფიფქების თავგადისავალი.—თეო კანდელაკისა .	27
VII—გაზაფხული . . . დექსი დ. თურდოსპირელისა	35
VIII—ნაკადულნი.—(შაქსილი) თარგმანი განდეგილისა	37
IX—ფურქარი და მისი ცხოვრება.—რთული განწირა კვერცხისაგან ფურქარი, (შემდეგი) ა. წელაძისა	40
X—ისანთის ამბავი . . . (ალექსანდრე ალმედინგერისა, რესული), ქლ. ანტონოვესკისა	43
XI—სინათლე და მისი მნიშვნელობა.—(შემდეგი) ა. მოსეშვიდისა	48
XII—ნაპოლეონ ბონაპარტი.—(შემდეგი), თარგმანი თ. ბაქრაძისისა	55
XIII—შითოლოგია, ტროალის ომი.—ჭერა და ათინა ქადაგერისინი კლდინთა შხედრობის დასახმარებლად მიერჩებიან. ა. მიქაელერისისა	59
XIV—გასართობი: — ა) საქვირველი ვაშლი, — ბ) რებუსი და ილინა	63



მერცხლის სიმღერა



ვლავ ვეწვიე ტურფა მხარეს,
ცა-ლაქვარდა, მოელვარეს.
გალის ძეგრით თავს ვევლები
ზურმუხტოვან არე-მარეს.

მზისა სხივი დამტრიალებს
და მიკოცნის პაწა თვალებს.
მწვანე მდელო, კახტა ველი,
თავს მავიწყებს, მანეტარებს.

მალლით წყარო მწვანე მთების
მოკერის ანცად, მოიმლერის...
დამცხება რა, ჩას ვეწვევი,—
ის სიამით შემომცეკრის!...

მაგრამ ოდეს ლალამდება,
შეე ტატნობზე გადადგება,—
აგრძ კერი!.. იქ ვიძინებ...
და, როს ლილა გათენდება,

კვლავ მივმართავ არე-მარეს,
სულ-წარმტაცსა, მოელვარეს, —


ის შთამიკრავს მწვანე მკერდში,
მაღრტყოფაშებს, ზანეტარებს!.. გიგანტობისა

ასე დიეფრენ... თავს ვევლები
ჩემს საყვარელ ტურფა მხარეს

და ღმერთს იმის ვევლები:

ნულარ გვაწვევ ზამთარს მწარეს!..

დ. ელიოზიშვილი.





დატეკიპებული ტოროლა



ზე შვიდი, წყნარი, გაზიაფხულის მხე ქვეყ-
ნის დიდების უგდებდა ყურა და თვის გარ-
შემო ტკბილ მყუდროებას ნათელის სხივით
უალერსებდა. მხე იყინოდა და თვისის კვრე-
ტით საცოცხლით აღზინებულ ტურფა გაზიაფ-
ხულს სიხარულით აღფრითოვანებდა. ტკე
იღუმალად მეტის ეშნით იშმუშნებოდა; მინდორ-კელს-კი მწვა-
ნე ქათიბი გადაეცვა და, ნაკადულების სიმღერით გამხნევებული
ნიავის ლილინზედ ნელის რხევით ლეკურს უვლიდა. ათას
ფრად აყვავებული მინდვრის კვავილები ვაშის ძახილით და
ტაშის კვრით მხეს მოლიმარს სალამს უძლვნიდა და შეს-
უნინოდა. ლამაზი ვაში ვაეკაცურად ქულაჯაში გამოჭიმუ-
ლიყო და ჩეტის ეშნით შეზარხოშებულს თვალზედ მომდგარი
ცრემლები მხის სხივშედ შარგალიტივით უბდლვრიალებდა.
ყაყაჩოც ისე გათამამებულიყო, რომ ბერუას საწნახელს ას-
სივით ზედ თავზედ წამოსდგომოდა და იქიდგან ძირს მოფუ-
ფუს მოუსცენარ ჭია-ლუას მუშტ მოლერებული ნიშნს უგებ-



და. ფრინველები ხომ, ერთის სიტყვით, გადარეულებულ მცენარეები; მაღალაზე მეტკუხალი შიკრიკივით უთავ-ბოლოლ ძარჩევარი დასადა; ბელურების ნერგებზედ სრიალისა და მათის ჩსუნ კალ-კიკი-კისგან ყურთა სმენა აღარ იყო; ბულბულის ერთ ბუჩქზედ ხშირ ფოთლებს ამოპტარებოდა და თვისის კვნესა-გალობით მიყრუებულ ჭალას მდუღარებას იფრქვევინებდა. ყველა ხარობდა, არ ისვენებდა და ეს საერთო ალტაცება გალიაში გამომწყვდებულ ტოროლისაც მოსვენებას არ აძლევდა. იმ ტრის, როდესაც მის გალის წინ მოკისკასე მეტკუხალი ნიავივით დანართდობდა, გულ აჩხრეკილი ტოროლი შაშინ მზად იყო გალის კედლები გამოენგრია და უკუხალ-მკვდარს მინკუთვი დაეხმარია — გრეატლინილიყო. დიდხანს ეხეთქებოდა საბრალო მის უანგიან მართულებს, მაგრამ, უნაყოფოდ მოქანული, ღონე გამოლეული, იმავ შართულებს გულის მოხარუნებლიდ თავს აყრდნობდა და კანკალებდა. ზოგჯერ-კი უცბად, როცა ყველა ტკბილი გალობდა, ისიც იმ წამს თავ დავიწყებით ჭიკეჭის მოკუვებოდა და შორს, ცის სიყრცეში თავისუფლიდ მონავარდე ფრინველთ მხიარულის ხმით საპურო-ბილედგან ბანს აძლევდა — გულს იოხებდა; ხან გახაოცრად და-მშვიდებული რომელსამე კუთხეს მიჯდებოდა და ძირს გადა-შლილ დიად ბუნებას ისეთის თვალით ჩამოსცემეროდა, თით-ქოს სულთა მხუთავი მისი გალია და სანეტარო თავისუფ-ლება მისთვის იმ წამს სულ ერთი იყო. იჯდა ჩუმად, გარინ-დებული და, სიცოცხლის ნიშნად, ოდნავ თვალებს-ლა აბარ-ტყუნებდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ჩოლესაც ბრწყინვალე მხე თვით-
სებურ ნაზის ალექსით დედა-მიწის გულს ისუტებდა, ჩოლე-
საც ყველა ფრთისანი, ყოველი არსება ერთშეაღ და მწყობრად
მას საღიღებელ ჰიმნს უგალობდა, ტოროლაც, თითქოს ატა-
ცებული, ეანგიან კედლებს უკანასკნელად ეომებოდა. ხან კი,
მოლლილი, გულის ცახუახით მართულებს ისეთის თვალით შეს-
ხერებოდა, თითქოს ულონო მას ევედრებოდა:

— დავილილე, დავიქანც ამდენს ბრძოლით, მაგრამ უფრო ხედავ ვერ დაგძალე, ვერ გაგანგრიე, ეხლა შენ მარტკუ შექმნავა
ბრალე, დევ ან მომკალ, ან არა და გამიშვი გარედ, რა გე-
ნალულება? როდესაც მისგან უპასუხო და უნუგეში რჩებო-
და, გარდაზებული ხელ მეორედ მის უდრევ კედლებს თავ-
განწირეთ ეხეთქე ბოდა. უკანასკნელად ისეთ ნიირად და-
ჯახა, რომ გაქანებული გალია ლურსმანს ასცდა და პრო-
წილით ძირს წამოვიდა. ჩამოვარდნის დროს რაღაც განვე-
ბით გაიღო კარი და სანატრელშა თავისუფლებამ წამ გაუ-
ლიმა, გამოუწოდა მძლავრი კლავი. დარეტიანებული
ტოროლა გონს რომ მოვიდა, ამ უეცარშა ბეღნიერებამ თი-
თქოს შეაშინა; მართულებს ერთხელ კიდევ მაგრა მიეკრო,
შემდეგ რაღაც ნიირად შესჭყივლა და გამოფრინდა — უშველი
თავსა. გაფრინდა, მაგრამ ვინ შენს მტერს, — ისე ველირ, რო-
გორც წინად: გაფრინდა ძირ-ძირს, მიწის პირად, ძილდატა-
ნებით და უმაღ იქვე, ლობის პირად, ლონე გამოლეულივით
ჩამოშეა.

— ძალა არ შეჩერეს, დალალული ვარ; დასვენება და
დამალეა მეკირვება, და მეტე-კი... გიოფიქრა ტოროლამ და
თან სიხარულით გულ იკან კალებულმა ღობეს თავი შეაფარა.
სალაშო ქამი ახლოვდებოდა. მზემ თითქოს უფრო უმატა სი-
კეკლუცეს და გამომშეიდების დროს კოცნა-ალერსით არე-
მარე შეაცმუკუნა. დალლილი ბულბული ახლა ვარდის გულს
მისჯლომოდა და მისის სუნით, მისის ჩუქრისულით იბნიდებო-
და. ზამბაზი თრთოლვით ნაკადულში თავმომწონედ ისედე-
ბოდა; ის კი ჩენად, მშვიდი ია, ბედის მორჩილი, განშორე-
ბულ სხივს ზეციურ ხმით გულის სიღრმილგან ქებას უმდერ-
და. ტოროლა ამ დროს ისევ ლობეში იჯდა და, სიხარუ-
ლით ალტაცებული, გულ-ჰკერდზედ კოხტად ბუმბულს ისწო
რებდა.

— ეხლა-კი თქვენთან გავჩნდები, თქვენთან ისევ ახლო
ვიქნები, ჩემო მოციმუმე ვარსკვლავებო, ჩემო მოვამებო

ცაო; ისევ სიმღერით ჩაგაცილებ და ამოსვლის ქრისტენის
რაკრაკით დაგიხედები, ბრწყინვალე მზეო. — ფიქრობდა თა-
ვისთვის ტოროლა და ამ დროს ოქროსფრად შევარაყებულ
კუმშ ღრუბლებს გულის ფანკუალით თვალს დევნებდა. უც-
ბად შეცმუკდა, ფრთები შემოჰკრა, შეიფოხიალი, მაგრამ,
იმის მაგივრად, რომ თვალის დახმამჭაზედ წინანდებურად
ცის სივრცეს ჩაქონებოდა და დედა-მიწისთვის თვალუწყედე-
ნელ სიმალლიდგან სალამი ეძღვნა, — ტოროლა უშნო ფრთების
ბარტყუნით კლდის ნაპრალთან პირქვე დაეცა.

— რა ამბავია, რა მომივიდა! ნუ თუ ფრენა ტყვეობაში
გადაშევიწყდა! — წარმოსთქვა ჩუმად გაკვირეებულმა და ამ წამს,
ფრთებს რომ დახედა, ერთი ისეთი წამოიგმინა, რომ კლდეს
უძრავს მისმა გმინვამ ქრეოლა მოჰვეორა...

— მიშველე, ზენავ! ჩემი კოტა, ლამაზი ფრთები შეუ-
კვიციათ. მახინჯი ვარ, აღარა მაქვს ძლიერი ფრთები. ოჟ,
საზიზლარო უსამართლოებაგ! რაღად მინდა შენი ლატაკი
თავისუფლება, როცა ვერ შევძლებ შორს, ცის სივრცეში
ჩემ მწარე სევდებს კვლავ დავემალო, ვერ მოვეხვევი სულ
შეხუთული რიერადის სიოს, ვერ ვინავარდებ მზის სხივებზედ
გალალებული, რადგან გონჯივარ, უბედური, მახინჯი, კუტი.
ნუ თუ ეხლა, ვით ბრმა თხუნელი უგზო უკვლოდ დედა-მი-
წის უნდა ველტოდე; ნუ თუ ულონო, შშიშარა თაგვივით
ღობეებში უმწერთ მუდამ უნდა ვიმალებოდე? რისთვის და
რად? ოჟ, აღარ მინდა ეს უგვანო თაერსუფლება, აღარ მინ-
და ეს ბუნება გადაფურჩნილი, მეზიზელება სულ ყველა ესა,
რადგანიც მჩაგრავს, დამცინის მახინჯს მისი სიტურფე და
სილამაზე აპი, მზეო რომ იკოდე, როგორა მძღლხარ, აა
მეჯავრები მოკამეამე, მაცლურო ცაო! მეზიზელები შე თვალი
მაქცო, ცრუ-პენტელა სიცოცხლევ და მხოლოდ შენ-კი...



ერთად ერთო. მხსნელო სიკედილო, უნ-ღა მიყვარჩხულა
მოდი ჩაგეკრა შეგ ციც მკერდში, მოდი ჩემთანიშე მატებული
გოლექტია ტოროლა და თვის წამებულ პაწია გულ-მკერდს
კლდის ნაპრალებს გასაპობად მედგრად იხლიდა... ბუნე-
ბა-კი ნაზი, მეტად ლამაზი ტკბილის ოცნებით იღირდებოდა
და შექს დიადს, მთისკენ გადახრილს, წითელ ტუჩებში ყკო-
ნებოდა.

୩୫୩





დიდებული საჩუქარი

(შემდგო)



ერე, ეგ რას გიშველის? ფლიდია,
ცრუა, მეგობარი! წერილი-კი არა,
ზევი ქვა გამოატანეს, თავში დაირ-
ტყას... უნდა ჩიგიტყულს და მაშინ
ნახავ წერილს. არ გაბრიყედე! რო-
გორ შეიძლება, ვინც მეგობრულად
დაგელაპარაკოს, ყველის მიენდო.

— მე მინდა... ვითომ წავყვები მე-
თქი, მაგის კარგად სცოდნია სოსეს კარ-მიღამო. ერთი იქამდე
მიმელწიო და მერე, რაც უნდა მომსელოდა, — სთქა მაშალშა.

— ვუი, ვუი, ს. სუსუ! ეგ აღთრა სთქა, მოდი ბარემ
ყელი გამომქერი... თუ ძალიან მოგეწყინა, მე თითონ წა-
გიყვან. განა მართლა მე კი არ დავსეირობ ვენახებში. ძველს
ბებერ კაյლებს ვესტუმრები ხანდახან სანდოროდ, — ანუგეშე-
ბდა კოდალია. — მე წიგიყვან, ნუ იდარებდ, ვაეკაცი მაგარი



უნდა. ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვიშების, გაგიგონია?

— ამ, თუ მაგას იზამ, ჩემი ღმერთი შენ იქნები.

— ძალიან ადვილად, ძალიან კარგად.

შონადირეების ხმაურობა, ძალების ყეფა თან და თან უახლოედებოდათ.


— ახლა, მეტობარო, მალლა აფერინდეთ, ხის კენწეროში და იქ შევაფაროთ ფოთლებს თავი. ხიფათს მოვერილოთ, ხმა, კრინტი არ დასძრა. ეგენი ჩვენ ვერ დაგვინახავენ, გაიცლიან, გაგვცდებიან და მერე არხეინად გავატაროთ დროება. ხაითაც გვინდა, იქით წავიდეთ.

მამალიც დასთანხმდა, აფოფხდა ისიც მალლა და უჩინარ ადგილის, ფოთლებში შეაფარა თავი.

მამალი და კოდალა ცველაფერს კარგად ჰქედავდნენ დაბლა, ხოლო იმათ ვინ დაინახავდა? გამოჩნდნენ ძალები ქასქასით. იმათ თან მოჰყვნენ მონადირენი, ნანიდირევით დატვირთულნი. ჩამოეკიდათ წელსა და გულზე იხვები, ხავათები, გნოლები, წეროები, კურდლლები და სხვა და სხვ. სწორედ იმ ხის ძირას გაიარეს, რომელზედაც კოდალა და მისი მეტობარი განისვენებდნენ.

მამალს, დახოცილი ფრინველები რომ დაინახა, ცახ-ცახი დააწყებინა, კოდალაც დიდს უსიამოვნობას ჰვრძნობდა. მონადირეთა მიერ მოვლენილმა განსაცდელმა მშეიღო-ბიანად გაიარა, მეტობრებს არაფერი ექნოთ. ერავინ შენიშნა იმათი იქ ყოფნა.—მამლია, თორემ კოდალა ვის რა დ უნდოდა, ტყავს არავინ დაეშურებოდა და ლეშა; მაგრამ კოდალის ასე როდი ეგონა. ფხიზლად ავლებდა თვალს იქეთ-იქით და ფიქრობდა, ცველა ჩემი მტერია და მოსაკლავად მე-ლამუნება, ნამეტნავად ადამიანი.

— ვნახე? მიუბრუნდა მამალს, როცა მონადირები კარგი შორს წავიდნენ და ორივემ თავისუფლად იმოისუნთქა. ვნახე? ემანდე, ადამიანს ეგ ღმერთი და სამართალი იქვს: ტყი-



ში არ ინდობს ფრინველსა და ნადირს და შინაურს ფრინველსა და ცხოველს ჩამოატანავთ
და ცხოველს ჩამო ხეირს დაიყრის? შენ-კი დაგრიგო და
ქათმებსა და სოსეს თჯასს გაიძახი! თავისუფლებისთანა რა
იქნება? რასაც გინდა სკამ, ჰევამ; როცა გინდა აღვები, დაჯ-
დები, არავინ შეგაწუხებს. რომელ ხეზედაც გინდა შეჯდები,
საცა გინდა გაივლ-გამოივლი, მოსჩინევნი ფეხით თუ ნისკარ-
ტით და საზრდოს იშვევი. აბა, გადააცლე თვალი, რამ სიღილე
ტყეა. როგორი უზარ-ჰაზარი ხეებია... არც გამტყენებ, რად-
გან ჯერ ხამაღლა ხარ და, თუ ქაურიბას შეაჩეკე და ქაურ
მცენარეების გემო გაიგე, იქნება ძილით გაგდებდე და ალიაც
მიდიოდე. ხომ არ მოგწყინდა მალო ყოფნა? ჩავიდეთ დაბ-
ლა, ახლა საშიში აჩაფერია; შეგვიძლიან, თავისუფლად ვი-
სკიროთ.

ორივენი ჩამოეშვნენ დაბლა; კოდალა ხის ძირს მიეკა, გამოლმა თავისუფლად ბოლოს დაუწყო ცემა ბალახით და ხეელ მოლეჭილ ხეებით მოუქნილს დედა-მიწაზე

— თუ რაიმე საშიში დაინახო, ხეზე შეხტი, მევობარო, — მისძიხოდა კოლალი — და მეც აქა ვაჩ, ნუ გეშინიან, მოგველები. ქორი-კი ვერაცერს დაგვილებს, იკოდე, და ოურა-მელისა-კი რა მოგახსენო. ამიტომ უნდა ეცალო და ხეზე ჰეუფრინდე, იქ ვერარაოფერს დაგაკლებენ.

— ნუ გეშინიანო? — წარმოსთქვა მამალმა მაყად: — მე
ვიცი, გული მისკდება. ნეტავი ისე სხვა ჯავრი და დარღი
არ მოლონგბდეს, — შიში რას მიქვიან?

— ფიქტური ას არის, მაგ დარღვებსაც გაგიკარვებ.

ტბაზე და ოლევებზე გასკრა მეორე დღისათვის გადასდეს, რადგან კოდალამ ასე ამჯობინა: დღეს ვერავის ვნახავთ, მონაცირებისაგან დაშიო კებულები არიან.

მეორე დღეს ორივენი ოლეგბისკენ მიურინავდნენ: წინ კოდალა მიუძლოვდა და თანაც, თითქოს მხარიობელიამ, მიკიოდა-მიწოდა თავისებურად. მამალი ეხვეწებოდა, — თუ ლმერთი გწამს, ნელა იფრინე, მე შენთან სად შემიძლიან ფრე-

ნოთ. კოდალი უცდიდა; ალაგ-ალაგ ხეებზე ისვენებდნენ. როგორც იყო მიაღწიეს ტბას, აუარებელი ფრინველი უწყმისაჭირება იხევდისა, ბატებისა და წერობების ქრისტულისაგან ყურთა სმენა აღიარ იყო. შაშალი, ცოტი არ იყოს, გამშიარულდა, თავისებურად ამაყად გამოიკიმა თვალ-საჩინო ადგილს, ერთს ბორცვზე და იქიდან ადევნებდა თვალ-ყურს ფრინველთა მიღვისრობას; ეგონა მთელი დუნია იმის ნახევით გამცემული დარჩებოდა, მაგრამ ყურსაც არავინ უგდებდა, მხოლოდ ერთი იხეუნა მიმჯდარიყო ტბის პირას ჩალიანში და იქიდან ელაპარაკებოდა, დასცინოდა.

— ამ, რა ბიჭი ხარ, რა ბიჭი! საიდან მოსულხარ ტურფავ, შეენიერო? ცოლის სათხოვნელიდ ხომ არ დადიხარ? გოგოებს ხომ არ ითვალიერებ? რომელი უფრო მოგწონს? შენ ორონდ არჩივ, კველაც გამოვიყენა, შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს... არ გიყვარს ბანობა? მოდი ვიბანოთ, წყალში უფრო გალაშიაზდები.

შაშალმა შართლაც თავი მოიწონა, ნახა-რა, რომ იმისი მისელია შეუმჩნევლიდ არ დარჩა და მხრები შეიტრაშეტრაშა, აღლო მაღლა თავი და დაიყველა.


— „ბიჭოს, ბიჭოს! ნიხე, რომ ვამბობდი“, — ამბობდა იხეუნა სიცილით.

ამ დროს გამოიარა შამლის გვერდზე კანკ-წითელმა ბაყაყი-ჭამიამ და იხეთი მაგრა ჩაუკაუნა თავისი გრძელი ნიკარტი, რომ მაშალს თავბრუ დაესხა.

— „რა გალრიალებს, შე, ოხერო, შენა, ვიღაცა მოთრეულხარ“! უთხრა გაჯვერებულმა ბაყაყი-ჭამიამ. — „აქ ვის კარ-მიდამოში ლრიალებ? საიდგან მოთრეულხარ“? უნდოდა შეურე ჯერაც ჩაერტყა, მაგრამ მამალმაც მოიმარჯვა კლანკები, თან თვალი კოდალისკენ ჰქონდა; შეახტა ბაყაყი-ჭამიას და ერთი ბუმბული გამოაგლიჯა კისრიდან. „არიქათ, ყაჩალი, ყაჩალი“! დასცა განგაში ბაყაყი-ჭამიამ. იქვე ბატები ისხლნენ და მაშინ-ვე სისინით გამოექანენ კისერ-წიმოგძელებულები მამლის დასასჯელად.



— ହୋ, ହୋ, ଦମ୍ଭବିଲ୍ଲେବଳୀ! — ଗୋଲିମା ଯୁପଦାଦ ବିମା ଫୁଲାନ୍ଧିଷ୍ଠାନୀ
ଶିଥି-ନି-ନି, କରି-ନି-ନି — ବିଲା ସୁନ୍ଦର, ବିଲା କିମ୍ବା? ଯୁଗୋରିବଳା ଗାମିକଣ୍ଠିଶ୍ଵରିଶ୍ଵରି
ଜନଦାଲା. ମାମାଲା ଜନଦାଲାଶ୍ରୀର ଗାମରିବଳା ଦା ନିର୍ବାଚନ ଗା-
ଲ୍ଲେବିଲ୍ଲେ ବାର୍ତ୍ତାବିପ ମହିଲ୍ଲେବିଲ୍ଲେ ଯୁକ୍ତାନ. ଦାଲାନାନ ପାଶ ଲାଗେ
ଦାବୁରିବଳାନାନ, ଦମ୍ଭବିଲ୍ଲେ କାନ ବିଲାପିଲ୍ଲେବିଲ୍ଲେବଳା.



ଜନଦାଲାମ କାନ୍ଦିଗୋଟ ଦାର୍ଢିକାନାଲା ବାର୍ତ୍ତାବଳୀ, ଯୁକ୍ତାନ ଦାବୁରିବଳା:
ଯୁଗୋରିବଳୀ, ମେ ଦା ନିର୍ବାଚନ ଲମ୍ବରିବଳା, ନିର୍ବାଚନ ଜନଦାଲା,— ତାରୀଖ
ଶୁଣ ମୁସରି ଗାମରିବଳୀବଳୀ! ପାଇତ, ବିଲା ଏହିବ କୀମା? ବିଲା ସୁନ୍ଦର,
ତାଙ୍କେ ବିଲାପିଲ୍ଲେବଳୀ?

ମାମାଲାପ ଗାମିନ୍ଦରିବଳା, ମାମାଲାପିଲ୍ଲେବଳା ବାର୍ତ୍ତାବଳୀ ଦା ଶ୍ରେଷ୍ଠଦେଶ:

— ଏହି, ମନ୍ଦରିତ, ମନ୍ଦରିତ ରାଜା, ରୈତାର ଅଗିରୀକାରୀବଳୀ ମୈ ତକ୍ଷରେନା!
ରାଜା ମାମାଲା ବିଲାପିଲ୍ଲେବଳୀ, ଶୁଣ ବିଲାପିଲ୍ଲେବଳୀ ଦା ମାମାଲା ଏହି ଅଗାଦି-
ନିତ ଦୁର୍ଗାଶୀ! ବିଲାପିଲ୍ଲେବଳା ମାମାଲା.

— ହାମା, ମେହିବାରିତ, ହାମା, ହାତିକାରୀତ, ମାତ୍ରମାନିକାରୀତ ନିଃଶ୍ଵର-
ମନ୍ଦରିତ ବୋଲିବେ ମାତ୍ରାତ ପାଇବାନ ଗାନା ଏହାମିନିବ ଦାତାବେଦା?

— କାନ୍ଦିଗୋଟ ତୁ ମାତ୍ରମାନିକାରୀତ? ମାତ୍ରମାନିକାରୀ-କି ଏହି, ଏହି ବୋଲି,
ଏହି ବ୍ୟାପା, ଏହି କୁନ୍ତରୁକ୍ତି ବିଲାପିଲ୍ଲେବଳୀ,— ବିଲାପିଲ୍ଲେବଳା ମାମାଲା, କାନ୍ଦି-
କାନ୍ଦିବଳାପ ଜନଦାଲା ପାଇବାନ୍ତିକାରୀବଳା କାନ୍ଦିବଳା କାନ୍ଦିବଳା ଏହି ରୂପିବଳାନାନ

— ეგეც მყოფათ! წარმოსოქვა კოდალამ. — წავიდნენ, საკა თავისი დაიკვეხონ, იქავე ჩვენიცა სოქვან. ამას უძრავია ველარ გამშედავენ მაგისთანა აინებს ..

— გავიხარიან, მე იმას უყლი ჩიმოვალადრე. — შეჲკვა-ხოდა მამალი, როცა სამშეიღობოში გავიდნენ.

— ძალიან ვაეკაცობა მოიხმარე, ძალიან, რომ შეტი აღარ შეიძლება! ხუმრიბაა იმოდენი ბრძოს გაუმკლავდეს მარტოკა ადამიანი, შეაქო კოდალამ.

— მაშ, როგორ გეგონა? დაგვეცადა, გაყურებინებდი იმათ სეირს!.. მოიწონა თავი მამილმა, აიბურძგნა, აიფხორა და მტრების ვასაგულისებლად, გამოსაჯავრებლად სამჯერ შეფი-ზედ დაიყიდლა: ხომ ნახეთ, რა ბიჭიცა კულტილეარო!..

ამიერიდან, როცა კოდალა იმა და იმ მტრის აშბაძეს ჩამოაგდებდა — ქორისას, მელა-ტურისას თუ სხეისას, — მე ვაჩვენებ იმას სეირს, — წამოიტყოდა მამალი, რაღაც კოდალას, როგორც თავიდ იყო დარწმუნებული, სჯერიდა მისი გმირობა და შეუდრეველობა.

— არ შეიძლება, წარმოსოქვა კოდალამ: — ჩეენ ამიერიდან ბერი მტერი გავეიჩნდება და, რომ უფრო არხეინად ვიყვნეთ, უნდა ჩემს ძველის-ძველ ბინას მივმართოთ. მე მაქვს დასაუთრებული ერთი დიდი, უზარ-მაზარი წიფელი და ღამლამობით იქ უნდა შევაფარით თავი. ისეთი კუჭრუტანები აქვს, ფულუროები, რომ იქ ვერავინ რას დაგვაკლებს, საშენო ბინაა ერთი იმ წიფელში შშვენიერი. პა, რას იტყვი, მეგობარო, კარგი არ იქნება? კოდალას შართლაც ეს წიფელი ციხე-კოშკადა პქონდა, სწორედ ქაჯეთის სიმაგრედ მიაჩნდა.

— შენთან ერთად მე ყველგან მჰადა ვარ, — მიუგო მა-მალმა.

ასე მასლაათოთ მიღიოდნენ მეგობრები ტყე-ტყე და თანაც არ ივიწყებდნენ იმ დღეინდელ ომს ბაყაყი-ჭიმიასა და ბატებთან, სწყევლიდენ და პკრულავდენ. ემუქროდა მამალი:

ერთხელაც იქნება ჩამიცარდებიან ხელში და მაშინ წარმოადგინა სეირიო.

გზაზედ, სალამო ხანი იყო, მეფობრებს კაპების გუნდი შეეფეხთა. წინ მოუძღვდა ერთი დედა-კაკაბი, როგორც ბე-ლალი, და დიდი ამბით და განგაშით ამსნევებდა თავის რაზმს და მიერტყებოდა ზევით სერებ-გორაკებისაკენ. ბელადის კა-კანს სხვებიც ცმას აძლევდნენ. გაისმოდა გუგუნი: კაპ-კა-კა-კაპ!...

მამალს კაპების დანახვაზე თავბრუ დაესხა, მეტის-მეტს აღტაცებაში მოვიდა, აღარ იცოდა, რა ექნა, მოეწონა ფრიად კაკაბები და გაეჭანა იმათკენ, გადაუდგა წინ, უკრავდა თავსა, ეწონებოდა... დიდის სალმით მიეგება, დიდს კოლტობაში იყო: იმათ ცქერაში ქათმები სრულიად დაავიწყდა. „სალამო მშვიდობისა, მანდილოსნებო! სად ბრძანებულხართ? საიდან მობრძანდებით, სად მიბრძანდებით? რას გვიბრძანებთ, გვემსა-ხუროთ, მხლებელი არა გნებავთ? განა შეგისთანა ტურფა— შევვნივრები უპატრონოდ უნდა დაიირებოდეთ? მე აქ რას ვაკეთებ, უნდა შემოგველოთ თავსა, უნდა თქვენთვის მოვ-კვდე, — ეუბნებოდა თვალ-ცრემლიანი მამალი.

კაპებმა გზა იუქციეს, სხვა მხარეზე გაემართნენ, ისე გასრიიალდნენ, როგორც ყინულზე სალა... კაპ-კა-კა-კა-კაპ! მამალი აღარ ეშვებოდა, მისდევდა უკან, დაიკიწყა გული-თადი მეგობარი კოდალა. მხოლოდ მაშინ შეყოყმანდა, რო-ცა ერთი კაკაბთაგანი, უფრო მოზრდილი, რომელიც გუნდს ჩობანივით გვერდზე მისდევდა, მოუბრუნდა და უთხრა: — საით, ძმობილო, სიით? შენი ბოსტანი მოსძებნე, აქ შენ ბინა არა გაქვს. შენებს უპატრონე... შესდეგ, გიჩჩევნია!

მოსწყდა მამალს წელი. „ოჲ, გაგიწყრა ღმერთი, შე სულ-კული შეილო, სიით რას წამოეჩირა ეს ოხერი! ფუუუ“! აღარ იცოდა, სიბრაზისაგან რა ექნა. განეგრძო დეენა, არ შეიძლებოდა, რადგან კაკაბი ჩხუბის გუნებაზე იყო, და თანაგრძნობაც კაპებისა, ეტყობოდა, იმას ჰქონ-და დამსახურებული.



— აქეთ, წამო, აქეთ, მეგობარო, მოშორდის ტრდებული ახრები არიან, რას ეხვეწები და ემუდარები? უძაბოდა დალა. მამალი დიდხანს გაქვავებული იდგა ერთ ალიგოს, გასცემდა და თვალს აღიარ აშორებდა კაქების გუნდს, ვიდრე სულ არ მოეფარი თვალთაგან. იქნება არც-კი დაძრულიყო ალაგიდან, კოდალის რომ არ ეთქვა: —რას უცქერი, არ ვიცნობენ, მეგობარო, და იმიტომ ვითროთხიან. დრო მოვა, ვავიცნობენ, და იქნება თავიდან ველირუ-კი იშორებდე.

„ოჟ, რა კარგები იყვნენ! წარმოსთქეა მამალმა გულ-ამოსკენით“. რადგანაც მამალი გრძნობდა, რომ მასთან მეგობრობას ყველა სხვა ფრინველები მორიცებულნი იყვნენ, ამიტომ კოდალის უფრო დაუმდგომდა. კოდალაც ზნეობრივს კმაყოფილებას გრძნობდა, რომ უთვისტომო, ობლად შთენილი მამალი შეიკრდობა და ძალ ვაიფიცა.

მათი მეგობრობა შეურყეველი იყო. მამალი თან და თან შეეწია ტყეში ცხოვრებას. საძრღოს ბლომად შოულობდა: ბალახის თესლს, ჭია-ლუას; ჭალა სავსე იყო კრიკინით, რა-საც სიამოვნებით შეექცეოდა; არავინ უშლიდა; სოსეს ვენაბში-კი არ შეეძლო ასე სავსიუფლად უურძნით ქეიფი; მამალი ამას კარგადა გრძნობდა და თითქოს კმაყოფილიც იყო თავის ბედისა. კოდალი ნაირ-ნაირ ამბებით შეაქცევდა. მაგრამ ქათმები-კი მაინც არ გადუვარდა მამალს გულიდან. იმათი ხსოვნა ისე ჰქონდა შენახული გულში, როგორც ნაცარ წაყრილი ნაკერჩხალი და კოდალაც მუდამ იმედს აძლევდა, აი დღეს, აი ხვალ წაგვიყვან და ყველას გაჩვენებო...

ყველა სულდგმულის, ბედითითქმის უსულოსიც-კი ცვალებადია.


მამლის ბედიც შეიცვალა. იმან და კოდალიმ თითქმის სიმი თვე იცხოვრეს ერთად ტკბილად, არც ერთხელ უსიამოვნება არ მოსკელიათ, მაგრამ ბოლოს მათი მეგობრობაც დაირღვეო და დაიშალა. რადა, რისთვის, არ იკითხავთ?.. მოულოდნელი შემთხვევისა გამო, თუ მაინც ასე უნდა მომხდა-

რიყო, ეს თქვენ ივარაუდეთ... ჭილის ფრინველებს უჩაფს
დღეს ყრილობა მოეხდინოთ, გამოეთქვათ დიდი შემაგისტრებულ
იმის გამო, რომ რაღაც ერთი ფრინველი თუ თხხუები გამოდა
და ლამდე ლრიალით იგვიყლო, აღარ გვაძინებს; მოსერენებას
არ გვაძლევს, როგორც იქნება და არ იქნება, უნდა მოვ-
ძებნოთ ეს დაუპატივებელი სტუმარი, ვიპოვნოთ, კარგად
გავტყიპოთ და გვიძეოთ:

„ბატონებო და ქალბატონებო, გამოხტა ჩხიკვი და
დაიწყო: მე ვიცი იმისი ბუნავი, იდვილად გაპოვნინებთ. თვით
იმ ვაებატონსაც კარგად ეიცნობ. ის გახლავთ მაშალი. კო-
დალამ გაიძმობილა, შინაურად გოხადა, ბინაც იმინ მიუჩინა.
თავისავით მყვირალა მეგობარი იპოვნა. მე ძალიანაც მიკვი-
რდა, რომ აქამდის ხმა არ ამოილეთ. ვიცოდი, არ გესიამოვ-
ნებოდათ იმისი ყვირილი და ლრიალი, რომელიც ერთავად
ყიფის, რითაც ძლიერ მოსწონს თავი.

გაუა-ფშაველა





ପଠନ

ପଦ୍ମାବତୀକୁଳ



ଏହିରାନ୍ତିମ ତିର୍ଯ୍ୟାନ କୁଳୁକାରା,
ପୂର୍ବରୀଥ ଫୁଲାରୀରୁଣିତ ଶ୍ରେଷ୍ଠପା ନେଇବା;
କ୍ଷେତ୍ରମା, ଗାମିନମଳୀ, ଦୀପିକାରୁଣ୍ୟିନା
ଭାବ, ରାତ୍ରି ଗାଢାରୀର, ଉପରୀତ ଗବେଷେଣା.
ମେହାରେ ଲକ୍ଷ୍ୟ କୁ କୁଳୁକା ଦୀପିକାରୁଣ୍ୟିନା
କୁଳୁକା ପୃଷ୍ଠାରୁଣ୍ୟିନା ମିଥିକାରୀ କିମିତିଲା;
ଦେଖିବା ପାଇଁ କୁଳୁକା କୁଳୁକା କୁଳୁକା କୁଳୁକା,
ଶ୍ରେଷ୍ଠମା ତିର୍ଯ୍ୟାନ କୁଳୁକା କୁଳୁକା କୁଳୁକା.


ନ୍ଯୁ କାଗଜିନ୍ଦ୍ରିୟ କିମିତିଲା କିମିତିଲା କିମିତିଲା,
ଏହି କିମିତିଲା କିମିତିଲା କିମିତିଲା କିମିତିଲା;
ରୁଦ୍ଧିରୀର କିମିତିଲା କିମିତିଲା କିମିତିଲା,
କିମିତିଲା କିମିତିଲା କିମିତିଲା କିମିତିଲା!

ଅ. ଶାନ୍ତିକାଳେଶ୍ୱର





კ ლ



უმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-
ნახირში — დამაყრით ყიფინის, ჩემთ
პატარი მსმენელებო, როცა ჩემ თავი-
გადასავალს გიაშობთ.

„ჯერ ყვავი რა შეიღია, ბუც
ნახირში ერევოო“ — იტყვით, მაგრამ
ნუ დაივიწყებთ, ჩემთ ბატონიშვი-
ლებო, რომ დედამიწაზედ არ არის
ისეთი ქმნილება, რომ თავის თავი

ერთ რამედ არ მიაჩნდეს და ამიტომ მეც, როგორც ბუნების
ერთი ქმნილებათაგანი, ჩემ თავს ერთ რამედ ვრაცხ. ამიტომაც
მსურს ავიცილო თავიდამ ის ცილისწამება, რომელიც უვარ-
მა თავის „საჩივარში“ გიაშოთ.

მაგრამ ყვავის ცილისწამება რა არის, როცა მთელი კა-
ცობრიობა ცილის მწამებს და სიმართლის თვალით არ მიყუ-
რებს არც მე და ჩემის გვარის ფრინველებს, როგორიც არი-
ან: კოტი, კინო, ზარნაშო და სხვანი!

მართალია, ბუნებას არ დაუჯილდობივართ არც მომ-
ხიბლავის სილამაზით და არც დიდის ჭკურთა და გონებით,
მაგრამ, რაოდენიდაც ყოველი ქმნილება ქმაყოფილია თავის
ბედისა, ჩვენც მაღლიერნი გახლავართ, რადგან ბუნებას
იმოდენი ჭკურა კი მოუცია, რომ თავი შევინახოთ ჩვენის
შრომითა და მეცადინებით.



ან რას მიქვიან კეციანი და ლაშაზი?

განა ყველე უკეციანესი და ულამაზესი ცოტმისამართება
ტრანსანთა შორის?

ტყუილად კი არ არის ნათქვაში: „ყველაც თავის ბა-
ხალა მოსწონს!“ მოსწონდეს, ბატონებო, მხოლოდ ჩვენ
რად გვაძებებს?

აქამ და დღის სინათლისა ეშინიანო, რომ გაიძინოს ის
ვაჟბატონი ჩემზედ, ვითომდა რაო? პა თუ უნდა შეგ ბიჭსა,
ისეთი სულელი ვიყო, რომ შეგ ბრკეცალებში ჩაუვარდე?! ვერ
მიართვეს! შეგ სიამოვნების ვერ მივანიჭებ ჩემს დიდ ბრალ-
მდებელს იმიტომ, თუ გნებავთ გაიგოთ, რომ, როგორც იმას
და მასთან ყველას, ჩვენცა გვაქვს სიცოცხლის სურვილი,
ჩვენც ვიცით და გვწამს, რომ სიცოცხლე ტკბილი და სანე-
ტაროა. ამიტომაც ყველა თავის-თავს უფრთხილდება. არავინ
ვანზრას თავს არ გასწირავს უსაფუძვლოდ. მე არად უნდა
ჩავეარდე საფრთხეში, როცა წინ და წინვე ვიცი, თუ დღისით
გამოვჭიდვ კარში თავი, არა თუ ყვავები, არამედ იმაზე უფრო
მძლავრი და უძლურიც-კი ჩემზედ გამოინადირებენ და ტყავს
გამაძრობენ?!

პეტ გიდი! ტყუილად კი არ უთქვაშთ: „სხეა სხეის ომ-
ში ბრძენიაო?“ განა მე არ ვიცი, რომ სინათლე სჯობია სიბ-
ნელეს? ვიცი და კარგადაც ვიცი, მაგრამ რა ვქნა, რომ დღი-
სით არ მიშვებენ ლუკმა-პურის მოსაპოვებლიდ ჩემი მოსის-
ხლე მტრები? ვითომ და ისეთი სუსტი მხედველობა აქვს ბუს,
რომ დღისით ვერისა ჰქედავს. სრულიადაც არა, თქვენმა
მზემა!

თუ ბუნება ვიყვართ, ჩემო ცელქო მსმენელებო, და
სოფლად თვეოლ-ყური ვიდევნებიათ ტყისა და მინდორ-ველის
ცხოვრებისათვის, უთუოდ შეამჩნევდით, რომ ჩვენი გვარი
დღისითაც ლაშაზად გამოდის საზრდოს საშოვნელიდ და ხშირ
ტყეშიაც აღვილად იკვლევს გზა-კვალს, საცა, რასაკვირველია,
მოსისხლე მტრი არ ეგულება.

ჩვენი თვალი ისე ფარსიგად მოუწყვია პუნქტის ცალკე
დღისითაც ისე კარგიდ ვხედავთ, როგორც ღამის მოწყვეტილ
ნითლება, ჩვენის თვალების ბაიები პატარავდება, როგორც ა-
გია, და მხედველობაც ისეთივე სალი გვაქვს, როგორც სიბ-
იელებში, როცა ჩვენის თვალის ბაიები ძლიერ ფართოვდება,
განიერდება. სხვა ცხოველებისა და მთ შორის იდამიანის
თვალების ბაიებზედაც ისეთივე გველენა იქვს სინათლესა და
სიბნელეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ იმ შემთხვე-
ვაში დიდი უპირატესობა გვაქვს—სიბნელეში ჩვენ ვხედავთ
და თქვენ-კი არა. ეს ხომ იმის უტყუარი საბუთია, რომ ჩვე-
ნი აგბბულება შესთვისებია საზრდოს მოპოვებისათვის ბრძო-
ლაში იმ ვითარებას, რომელშიაც გარემოებას ჩაუგდიართ.
ეს ჩვენის თვალების თვისებაც ხომ ერთი პირობათვავინია ჩვე-
ნის ცხოვრების დაცვისა და უზრუნველ ყოფისათვის. ეს რომ
არა, ხომ შიშილით დავიხოცებოდით? მაგრამ ბუნება სამარ-
თლიანია, ჭორებს როდი ასდევს ის დალოცვილი, სასტიქა
და უცვლელ კანონებს ადგია. იმ გუშინდელ ამბავს მოგი-
ცვებით.

ბლიაძიანთ ეზოში რომ ძველი ციხე დარბაზის ნანგრე-
ვები გახდავთ, სწორედ იქა მაქვს მე, თქვენს მორჩილ მო-
ნას, სახლ-ჯრობა. საღილობისას, როცა ყველანი დასაპუ-
რებლად წავიდ-წამოვიდნენ, შემოგვესმა ბელურა ჩიტების
ეფვილ-ხივილი. გამოვიხედე ჩემის ბუდიდან, ვნახოთ, ბელუ-
რები ბელელთან მოგროვილან და ხორბალი ჰქენავენ. გავი-
ქანე, ვსტაცე ბრჭყალები ქურდ ჩიტუნას და შევიტარე ერთ-
ხელ მტრის მოსაგერებლიად აშენებულ და ახლა ჩემს ანაბა-
რად მიტოვებულ ციხეში; დავჯერ და აჩხეინად შევეძები
მეც საღილს.

ახლა თქვენ თითონ იფიქრეთ, მიშლის თუ არა მზის
შუქი ხედვასა!..

ერთხანად ხის ფულუროში ვცხოვრობდი, ტყეში. იქიდა-
ნაც ხშირად, როცა მომშივედებოდა, მოვკრავდი თვალს ან

პატარია ფრთოსნებს, ან მინდერის თაგვს და, იცეცხლებული
მე იმათ მივაძლებოდი ხოლმე!

გიგანტის გარე

რამდენჯერ დამდევნებიან ყვავე-ყორნები და სხვა ფრთო-
სნები დღისით, მაგრამ დავძრომივარ ხელიდგან. ჩვენი ტვი-
ნი უყვარსო, რომ ჩივის ყვავი, მართალია.

ჩიტის ტვინი მეტად გემრიელია. მიტომაც ჯერ ტვინს
ამოვკორტნი ხოლმე და მერე ჩიტს ისე გადავყლაპავ ფრთო-
ან-ძვლიანად, როგორიადაც თაგვს ან ხარაბუზას, ბუზან კალს
და ჭია-ლუს. ყლაპ! და გადუძხახბ მახარის ქვაბში.

მერე ნეტივი იცოდეთ, როგორი მძლავრი კუპის წვე-
ნია ჩვენს მახარის ქვაბში!

სულ მოკლე ხანში იხარშება შიგ ჩავარდნილი ცხოვე-
ლი, გარდა ფრთა-ძვალ-ბალნისა, რომელიც ბურთივით იკუ-
შება და რჩება მოუხარშეველი დროშდე. მხოლოდ როცა ეს
დრო დადგება, მოგვივა გულის ზიდილი, გვეიზმორებით, თავს
იყილ-დავილებთ და პირიდამ წამოვაგდებთ იმ ჩვენთვის ურ-
გებ ბურთს. რომ აიღოთ ეს ბურთი და გვსინჯოთ, დარწმუნდე-
ნით, რომ იქ არის ფრთა-ძვალი და თმა.

ისევ თქვენ, ჩემო პატარებო, თქვენი ხერთ ჩვენთვის
უცნებელნი და ისიც ძალა-უნებურად, რადგან დღისით მტრებს
ვემალებით და დალამებისას, როცა კარში გამოვდივართ, თქვენ
იძინებთ. თორებ, ვინ იყის, თქვენი მშვილდ-ისარიც ჩეენ მო-
სისხლე მტერთა შორის ყოფილიყო! თქვენი მამები და და-
ნარჩენი ადამიანები კი ვერაფრიად გვწყალობენ.

აი წისულ კეირას ჩემს მასპინძელს—ბესარიონ ბლიაძეს
წვეულობა ჰქონდა.

მთელი სახლი და კარ-მიდამო განირალდნებული იყო.

როგორც მოგეხსენებათ, სინათლის შუქზე ძლიერ უყ-
ვართ ნავარდობა ბუზან კლებსა და პეპელებსა; სხვა უბნიდან
სულ აქ მოაწყდენ.

— „ქურდს რა უნდა და ბნელი ლამეო,“ ნათქვამია. ჩვენც
ეს გვინდოდა.

გადმოვცერინდით თუ არა შებინდებისას ბუდეფშიწკადა? ვექანეთ მინდერებისაკენ, ამოველიტეთ მინდერმა გაავრცელოს ლაზათიანად და შემდეგ შევეძებით სინათლეზედ შეგროვილ მწერებს და ჩავიტრაპარუნეთ პირი.

რომელი მუშაა, რომ კარგი მოსავლით გახარებული არ ამდერდეს. რა გისაკვირველია, რომ ჩვენც, გამაძლრები, ავმ-ლერდით და აებმთურდით! მართალია, ჩვენს ხმასა და სიმღერას არად აფასებენ, მაგრამ რა გიცცობა? ვისაც როგორ შეუძლია, ისე ხარობს და გალობს.

როდის იყო და ვის უნახებს, რომ ჩვენ ან ხმითა და ან გალობით თავი მოგვწონდეს?

აქამ და ბუ იძიხისო, შეიქნა ერთი ალიაქოთი: ვინ ქვის წამოავლო ხელი, ვინ ჯოხსა და ვინ თოფს.

ჩვენდა საბედნიეროდ, ადამიანის თვილი ბნელში ვერა სჭრის, თორემ შავლამეს დაგვაყენებდენ.

— ისროლე, ბიჭი, ისროლეო! — მიაძხა ერთმა მოხუცებულმა თოფიან ყმაწვილ კაცს.

— რა! ვესროლო, შე დალოცეილო, ვერასა ვხედავო, — მიუგო იმინ და ჩვენდა შესაშინებლად გისროლა ჰაერში. ჩვენც ავიკრიფეთ და გავეჭანეთ მინდერისაკენ. ვინ მოსოფელის, რამდენი მტერი გავანადგურეთ ჯეჯილისა და ხე-ტყისა იმ ლამეს?

ეჭ, მახლის! სიკეთისათვის სიკეთე ვის უქმნია?

სიკეთეს ვინა სჩივის, ისეთი დაუჯერებელი ამბები უამბეს ერთმანერთს ბლიიძის სტუმრებშია, ისეთი ქორები შოტკორეს ჩვენის ხმის შესახებ, რომ გული გამიწვრილეს.

— ნინიკაანთ დასიკოს სიკედილი სულ მაგ დაწყევლილ ბუს ბრალიაო, — სოქვა ერთმა.

— ეგ ნამდვილია? — დაუშატა მეორემ, — მაგათი ძახილი რომ სიკედილის ნიშანია, ეს უეცველიათ და სხვა და სხვა.

იმე! გავსკდი გულზე, გავსკლი, მაგრამ, აბა, რა უნდა მექნა? მივწუმდი ჩემთვის.

„საცა იყო, ჩუმად იყვა, ყური არ გააფიქნოთ“, კარიშმაზე გადასამიერებელი ხეა, ბატონებო, ნათქევაში.

გინ ჩივის? რაც მართალია, მართალია დღის ფრინველები გვჯობნიან კუკითა და გონებით, მაგრამ ვინ იცის?

შეიძლება იმათი კუუა-გონება უფრო დაწლუნგებულიყო, ჩვენ მდგომარეობაში რომ ჩავარდნილიყვნენ. დღისით ნუ გამოჩნდები, ხმას ნუ ამოიღებ, ქვეყანას ნუ შეჭედავ, კუუასა და გამოცდილებას ნუ ისწავლაო და, აბა, მითხარით, საიდამ ვიქნებით მეტის კუუის პატრონი?

ის-კი არა და იმ დღეს თქვენი მსაჯული გულამოსკენილი ჩიოდა, ესა და ეს ქვეყნები არ მომივლია და გულნაკლულად ვარ, რომ იქაურის ხალხის ამბავი არ ვიციო.

ბევრი ცოდნაც კარგია, დიდი კუუაც მეტი ბარგი არ არის, მაგრამ ვინ მოგაროვა? კიდევ ჩვენი ბედი, ბუნებას ისე შეუქმნია ადამიანი, რომ დღითი-დღე ლუქმი პურის მოპოვბისათვის შრომობს, თორებმ თავისუფალი რომ ყოფილიყო, მოგვდგებოდა და სულ გაგვანადგურებდა რაღაც უცნაურის ჯავრის ამოსაყრელად!...

უკეთობის ნიშანია, მა რა ჯანაბა, რომ შარშანდელ ჩემ ათის ბარტყიდან მხოლოდ სამი ძლიერ გადამრჩეა. დანარჩენი შეყლაპეს ჩემმა მამიდაშეილებმა. მერე რისთვის? სულ ტყუილუბრალოდ: ერთი ვირთხა დაეჭირათ და ვერ მორიგებულიყვნენ. აქამ და თქვენ რად შეგვეცილეთო, დასცემოდენ საკოდავ ჩემ ბარტყებს და შეეჭიმათ.

ღმერთთან სწორი სჯობს, ერთი ბუ მეც შემომექამახელში, მაგრამ ის ხომ საიმისო იყო: დასნეულებულიყო და ძლიერ-და დაფოფხავდა. რაღა სასიცოცხლო იყო? ავიღე და შევსანსლე:

თქვენ-კი, დიდო ბატონებო, როგორა ჰფიქრობთ? თქვენ-კი არა სჭამთ ერთმანეთს? იმდენი სიკეთე ჩემს შვილებს მისცეს, რამდენი კაცისაგან დაბეჩივებული, დამშეული და საიქიოსაკენ მიმავალი ადამიანი მე მენახოს!

დიალ, ბატონები! თქვენც არ უკალისობრივი მრავალი შე-
კმა-შესმის, მაგრამ უფრო კკვეთურად, უფრო იშვიაული მწმის
და უფრო მაღალად, კიდრე ჩეენ. ტყუილს ვაშობ? არ მე-
თანხმებით?

მაში, მოპტიკანლით სიმედიატორო სამართალში, დედი იქ განვეკიცხონ!...

ကဒ္ခနဂျာ





თოვლის ფიცქაზის თავგადასავალი



დღე, ძალიან შალლა დედა-შიწიდან, ციც-ზამ-
თრის ღრუბლების წილში გაწინდა თოვლის
სამი ფიფქი.

ჯერ თითო ნამკეთა, ფერფლივით მსუ-
ბუქები იყვნენ და თავ-გზისა ირა გი-
გებოდათ-რა. მაღვე თვალი მოჰკრეს
თავიანთ მსგავს ძველ ფიფქებს, რომ-
ლებიც ათი ათასობით ირეოდნენ,

ფუფულებიდნენ, დატრინავდნენ პეპელებივით ჰაერში, და
დიდ სიხარულს მიეცნენ.

— ჩვენ სამნი ერთმანეთს იღარ დაეშორდებით და სულ
ერთად ვიქნებითო! სოჭეს ახალში ფიფქებში, ჩისჭიდეს ერთ-
მანეთს ფაფუკი გინგლები და მოჰკვნენ ცეკვის უსაზღვრო
სიცრცეში.

მაღვე შტერი მოგიკვდეთ, მაღვე თქვენ ერთმანეთს და-
შორდეთ! — უთხრა ძველმა ფიფქმა, რომელიც ისე დამძიმე-
ბულიყო, რომ თავს ძლივს იმიგრებდა ჰაერში.

— უკაცრავად! შენსავოთ ზანტი როდი გახლავირთ, რომ
ერთმანეთს ვერ მივჰვეთ და გავცალკევდეთ!

— ისე გაგაცალკევებენ, თქვენმა გაზღამ, რომ ერთმა-
ნეთს თვალის ველარ დაჰკრათ! — მიაძიხო ღრუბლმა ფიფქმა, მოსწყდა სიმძიმით ღრუბელს და ჩამოვარდა ძირს, ნისლიან
სილრმეში.

ამოვარდა სასტიკი ქარი. ნორჩმა ფიფქებშა შიშით კან-
კალი დაიწყეს. დაუბერა უფრო ღონივრად გრიგალმა, დასძ-



რა ისინიც, სხვა ოუარებელ ფიფქებთან ერთად, ზრდის მოფანტია.

ჯერ უფროსი ფიფქი დაეშვა ძირს დასავლეთისაკენ და ერთ მაღალ ხეზე დაეცა დაბურულ ტყეში. მეორე და მესამე დები კიდევ კაი ხანს დაფრინავდნენ მაღლა-მაღლა. ქარი ძირს არ უშევებდა და ჰაერში ათამაშებდა, წილმა-უკულმა აპრო-წიალებდა.

მერე მეორე ფიფქიც მოიტაცა ქარიშხალმა და დიდ მთის წვეროსაკენ გააქანა.

დარჩა მესამე ობლად. ცოტა ხნის შემდეგ ისიც დამძიმდა და წამოვიდა ქვევითკენ.

მიქროდა ფიფქი და არ იცოდა საით. აი, გამოჩენდა თოვ-ლითა და ყინვით გადაპენტილი მთა, რომელიც მრისხანედ გამოიბრუირებოდა და მესამე ფიფქი იქ ჩააგდო ქარშა ერთ ხრამში.

— ეს კავკასიონის მთების დიდი მყინვარია, — ყაზბეგი, და შენ აქ უნდა იყო, ამიერიდან შენს დებს თვალით ვეღარ იხილოვ! — მიაძიხა ქარშა და ზუზუნ-ზუზუნით სხვა მხარეს გაუქრიოლა ..

გავიდა დიდი ხანი, რამდენიმე წელიწიდი. ერთ შვე-ნიერ მიისის დღეს შევ ზღვაში, მთის სიმაღლეზე იგორებულ ქაფიან ზეირთების ბიბილოზე, სამი ან კარი და ვამჟვირვილე წევთი შეხვდა ერთმანეთს. ეცა სიხარულით წევთი, წვეთს, ჩეებურნენ ერთმანეთს და განუყრელ მეგობრებიდ გახდნენ.

ეს ის სამი დანი იყვნენ, ღრუბლის წიაღში რომ ერთ-ხელ თოვლის ფიფქებად გაჩნდნენ. სასწაულმა ისინი ისევ ერთად შეჭყარა. იცნეს ერთმანეთი, მოიგონეს წირსული და მოუყვნენ ერთმანეთს, რაც თავს გადახედოდათ მას შემდეგ, ქარბუქმა რომ გაჲყარა; როგორ დაექებდნენ ერთმანეთს და აი შეხვდნენ კიდეც ამ ზღვის ტალღებში.

— მე მომიტაცა ქარმა და კავკასიონის უღელ-ტერიტორიული მაღალ და შეუფალ მთებით შემოზღუდულ სვანეთს და აჭარას გვას შეუა მდებარე ფასის მთაზე ჩამომაგდო, დაიწყო თავის თავგადასავალი იმან, რომელიც ერთ დროს პირველი იყო სამ ფიფქები: — დიალ, ჩამოვარდი და შევრჩი ერთ მაღალ ხეზე. იქ ბევრი სხვა ფიფქიც დამხვდა, რომლებიც გაყინულიყვნენ, მძიებივით ასხმულიყვნენ ტოტებზე და ალმასის თვლებივით ბჟყვრიალებრნენ. მეც იმათ მოვემატე. მყუდროება და ხალვათობა დიდი იყო, სიხარულითაც მიმიღეს, მაგრამ თვალი და გული თქვენები მრჩებოდა.

ვესკუპე ხეზე დალონებული, ხმა გაკრენდილი და თქვენ გიგონებდით.

მოფრინდა შავი ყორანი და, რომ გიგო ჩემის მწუხარების მიხეტი, დამჩხავლა:

— ნუ დალონებულხარ, სპეტაკო ფიფქო! გაეთ ზამთარი და ქვეყანა გათბება. გაზაფხულის მზე გაგაღნობს შენა და სხვა ფიფქებს და წვეთებად გაქცევთ. წვეთი წვეთს შეუერთდებით და ნაკადულად გახდებით; ნაკადულისთვის ხომ გზა ყოველგან ხსნილია. დაეშევებით ხევ-ხევ, მოედებით მინდორველს და მაშინ იქნება ისევ შეგვაროს ბედმა დაკარგულ დებსაო.

ვინ იცის, რამდენჯერ გამოანათა იმის შემდეგ მზემ და ისევ ჩაქრა. დრო მძიმედ მიღიოდა უდაბურ მთაში. ვხედავდი შხოლოდ, როგორ დახტოდნენ ციყვები ხეებზე, როგორ დარჩოდნენ კურდლები თოვლის ბეჭობზე და უკან ათასი მოსისხლე მტერი დასდევდათ.

ყინულთა მამა მთავარი-კი რთავდა და ჰქარგავდა კერცხლის სევადით,—კირხლით, ხის ტოტებს; სიციცისაგან აბუზული ფრინველები კურობოდნენ ერთმანეთს ჩისათბუნებლად.

ყვავის წინასწარმეტყველებამ იწყო გამართლება: ზამთარი ნელ-ნელა მიიპარებოდა, დღითი-დღე სითბო მატულობდა.

გაუინული ფიფქები ლხვებოდნენ დღისით ნელ-ტერპუ ჰემიშემ ლამ-ლამე ისევ იყინებოდნენ.

გაზაფხულმაც მოატანა. ფიფქები გაღნენ, გაწყალდნენ
და ჩამოცვიდნენ ძირს წვეთებად. ამათ ჩემი წვეთიც მიემატა
და წარწერით დაეცშიოთ დაღმართხე პაწაწკინტელა ნაკა-
დულად. ნაკადული ნაკადულს მიევმატეთ და ჩავდიოთ მდი-
ნარე რიონში, რომელიც თასის მთიდან გამოისის.

შინქეროლა შეიღით რიონი და მიაჩვენინებდა თავ-
პირის მტკრევით ყინულების ნაჩეხებს, რომელთაც ჭავა-ჭუკი
გაჰქინდათ, რადგან ერთშანოւთს იჯახებოდნენ.

რიონშა რცეაზე ჩამოიარა და მერე იმერეთში ჩამოვიდა. ქუთაისამდე ძალიან გაშმაგებული მიზანდა, მერე-კი თან და თან მდორედ დაიწყო დენა. ქუთაისს ქვემოლ მდ. ყვირილა მოგვემატა და ორპირთან—უხენის წყალი. ამ მდინარესაც ფასის მთაში იქცეს სათავე, რიონთან ახლო, მაგრამ თავიდანვე იმიტომ სცუდა რიონს, რომ ჯერ სვანეთს ჩამოუარა, მერე იმერეთ-სამეგრელოს საზღვარს, ორპირთან ისევ შეუერთდა დობილს და მერე ერთად შეგ-ზღვაში ჩავიდნენ, ქალაქ ფოთთან. მეც იმითთან ჩაეწვეთ ზღვაში და მას აქეთია სულ იქ კრიკილებ: ხან ძირს, ბნელ უფსკრულში მოვეკცევი და ხან მალლა, ნათელ ზემო-პირზე ამოვეტები. გზა-გზა სულ თქვენ გათვალიერებდით, გკითხულობდით იმ მდვრივ და ლრიალი ტალღებში, მაგრამ ვერ გავიგე თქვენი ასავალ-დასავალი. ბოლოს იმედი გადამიწყდა, გამოგიგლოვეთ კადეც და ის სწორედ ამ უიმედობის დროს-კი შეგხვდით, ჩემთ მარგალწ-ტებო, ამ ზღვის ტალღებში”.

ახლა მეორე წვეთმა სთქია თავისი აშპაფი:

— „მე გრიგოლმა გამაფრინა ერთ უშველებელ სიმაღლი-საკინ, რომლის



მათ კლდიან გვერდებს ღრუბელი
შევადა ზედ დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას
წარლვნითა ემუქრებიან*.

ეს არის კავკასიონის მთების ყველაზე უდიდესი წვერო, იალბუზი, რომელიც ხუთ ვერსზე მეტია სიმაღლით; ზამთარზაფხულ აულეხელი თოვლით არის შემოსილი და საშინელ სუსტსა და ციც ქარს ჰგავნის საქართველოში. ჩამოვარდი იქ და ისე მაგრა შევეყინე მთის, რომ ხსნას ილირ მოველოდი და ყველაფრის იშედი დავკარგე. მიღიოდა დრო და ეამი დაუსრულებლად. გადაწყვეტე სამუდამო, გამოურკვეველ ძილს მიუცემოდი. მაგრამ გადმომხედა მზემ და, ყინულის სისქეში გამომწყვდეული, გამომაღვიდა. მოსკედა ციცაბო კლდიდან მყინვარის ერთი ქიმი და დაეშვა ზვავად ეს მთის ოდენა ნაგლეჯი ქვევითყენ. მეც იმ ნაგლეჯში ვიყავი შეყინული და მელირსა თავისუფლება. დაგვხედა მზემ, გაძოვეიქროლა თბილმა ქარმა და ვიწყე დნობა. მაგრამ გამდნარი და მაღლიდან ნაკრებლი წვეთები ისევ ვიყინებოდით ძირს და დიდრონ სვეტებად ვკეთდებოდით. მოუმატა მზემ სითბო, გაგვაღნო და გვაჭური წყლად. დავეშვით სიხარულით ხევში და მაღვე ერთმა პატარა მდინარეებ ჩიგვყლაპა. მდინარე შეუერთდა შფოთიან ენგურს. მირბოდა ენგური გაშშაგებით ერთ ვიწრო, დაკლაკნილ ხეობაში, რომელსაც იქეთ-იქით აქცუდებია შავად დაბურული მაღალი მთები და ზედ ჯარებიერი ჩარიზმულან ყოველ გვარი ხეები: წიფელი, თხმელი, წიბლი, მუხა, ბზა, ცაცხვე, რცხილა და სხვ. .

მირბოდა საშინელის შუილით ენგური დასავლეთისაკენ. ჩაგვატარა ქვემო-სვანეთსა და სამურზაყანოს შუა, ოქუმსა და ზუგდიდისაკენ და მიეცა შავ-ზღვას ინაკლიასთან.

ვინ იცის, რამდენი ხანი გეძებდით, მაგრამ ამითი არ დავლალულვარ, გული არ ვამტებია, არც იშედი გადამიწყვე-



ტით ოქვეენის ნახვისა და ამ მართლაც გიპოვნეთ, მეტები არის სის წვეთებო, გენაცეალეთ პატარა სიყმეში».

— მე ყაზბეგის მყინვარის კალთაზე დამაგდო სუსხიანშა ქარიშხალმა და ლმერთმა იცის, რამდენ ხანს ვეგდე თვალ-უწვედენელ ხრამში, სადაც ნიივიც-კი არ გვეკარებოდა, — სოჭვა მესამე წვეთმა: ზემოდან ახალ-ახალი თოვლი გვეჩატებოდა და საქართველი გვაწვებოდა. საშინელმა სუსხმა მე და ჩემი მეზობლები გაგვამიარა და ხორხოშელასავით კირმატ მარცვ-ლებად გაგვხადა. ზემოდან კიდევ და კიდევ ნამერები გვაწვებოდნენ, ჩენც ერთმანეთს ვაწვებოდით, ვეკაროდით და ამასობაში კლდესავით მაგარ ფილაქნებად გადაუკეცით. აღარ მეგონა, თუ თქვენ, ან ნითელ ქვეყანას და ჩემ თამაბლოს ლიეფარდ კი გუმბათს კიდევ დავინახებით როდისმე...

რამდენისამე წლის მწუხარებისა და მუნჯად ყოფნის შემ-დეგ იმ ჯურლმულში, ერთ დღეს საშინელი კექა-ქუხილის ხმა შემოშესმა, მყინვარმა ზანზარი დაიწყო, გაიპო თავით ბოლომ-დინ და... კიკიტა.. შეის მხიარულმა სხივმა-კი ჩამოგვანათა თავის ცნობის მოყვარე თვალებით.

— რა ამბავია, მზეო, მზე-ქალავ-მეთქი, ვკოთხ.

— ბევრი არაფერი! ყინული გასკედა ხრამის მოსახვევში და იმისი ხმა იყოვო, მიპასუხა მზემ ღიმილით. მაგრამ რაღან მე ამისი არა გამეგებოდა რა, დაწვრილებით მიამბო ყველაფერი:

— მთაში რომ ბევრი თოვლი ჩამოწვება, სქელ ყინუ-ლად გახდებაო. ეს უზარმაზარი ყინული უძრავედ-კი არა ძევს ერთ ილაგას, შეუმნინელად ცურავს ქვევით-ქვევით, რაკი ზემოდან მოზევავებულ თოვლის სიმძამე აწვება.

„მიიზლაზნება ეს უშველებელი ყინულის მთა გველეშა-პივით და იკლაკნება მიხვევულ-მოხვევულ ხრამებში. ხან გაიშ-ლება, ხან ისევ შეიკუმშება მაგარ ცომიერი. მერე სითბო გაალხობს, წყლად გახდება და გადმოჩხრიალებს მთის წვე-როდანიო“.

მართლაც ასე მოხდა დიდის ხნის ლოდინის შემცირებული
მე მყინვარის სისქის ზემო პირზე მოვიქეცი. ბევრში ჩემი
მეზობელმა გამოსწრო, რადგან ჩემ ზემოდ იყვნენ შეყინული
და, რაკი ზემოპირი უწინ ლხვება, ისინიც ზოგი ზვავებად
ჩამოწვა და ზოგი ნიაღვრებად ჩამოჩახახდა. ბოლოს რიგი
ჩემზედაც მოდგა: გავდინი წევთად და ჩამყლაპა ნიავლვარმა.
ახლა-კი მეშველა-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ჩემ სიხარულს მა-
ლე ფრთა შეიკვეცა და მზე დამიბნელდა: ჩვენი რუ კლდის
დიდ ნაპრალში ჩაეჭვა და მეც, რასაკვირველია, თან ჩამი-
ტანა—ბნელ ჯურდმულში. ვიდინეთ და ვიდინეთ უზომი
ხერელების დარბაზებში; ვირბინეთ და ვირბინეთ ქვესკნელში
წყაროებად...

რამდენსაც ძირს მივდიოდით, იმდენად მიწა ცხელი იყო.
ბოლოს ისეთ სიცხეს მივატანეთ, რომ იყდულდით და ცხელ
წყაროებად დაეცერებოდით დარანიდან დარანში, მღვიმი-
დან მღვიმეში. ერთ ალიგას ვიპოვეთ ხერელები მიწის ზემო
პირისაკენ და ამოვჩეხჩუბდით თბილ სამკურნალო წყაროე-
